ხელშეკრულება N27

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი **23 მარტი 2016 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება“ (შემდგომში _ ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "შონი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ნინო ელიოზიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: შემსყიდველის სახსრებით დერატიზაციის, დეზინსექციის და დეზინფექციის პროცედურებთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 დანართი #1-ში მოცემულ საბავშვო ბაგა-ბაღებში დერატიზაციის, დეზინსექციის და დეზინფექციის მომსახურების შესყიდვა.

2.2 CPV კოდები- 90921000, 90922000, 90923000.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2 ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის მომსახურების ღირებულებაა - 35 ლარი.

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა – **1190 (ათას ას ოთხმოცდაათი)** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

5.2 მიწოდების ადგილები მოცემულია დანართ #1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების განხორციელების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

„შემსყიდველი“ **„მიმწოდებელი“**

6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირია ა(ა) იპ "თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების" ბაგა-ბაღის გამგე ან/და მნე.

6.4 მომსახურების დასრულების შემდეგ, 6.1 მუხლში მითითებული მიღება - ჩაბარების აქტების დაჯამების შედეგად, შემსყიდველის ხელმძღვანელსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდება ნაერთი მიღება - ჩაბარების აქტი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდების და ნაერთი მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა) იპ "თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების" ბაგა-ბაღის გამგე ან/და მნე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (საიდანაც ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 ხელმოწერით ვადასტურებ რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება“	შპს "შონი"
ს/კ 417886773	ს/კ 417883525
სახელმწიფო ხაზინა კოდი : TRESGE22 ა/ა 749633460 მისამართი: გორი, სტალინის გამზ., #4	ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი : LBRTGE22 ა/ა GE64LB0113162142252000 მის: გორი, სამეფო ქ., N 10
დირექტორი გიორგი გელაშვილი	დირექტორი: ნინო ელიოზიშვილი

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

დანართი #1			
	მიწოდების ადგილი მიმართულების მიხედვით		
#	ტყვიავი - მეჯვრისხევის მიმართულება	#	სკრა-ხიდისთავის მიმართულება
1	რეხა	1	ხიდისთავი
2	კარალეთი	2	უფლისციხე
3	პატ.გარეჯვარი	3	ქვახვრელი
4	ძევერა	4	ატენი
5	შერთული	5	სკრა
6	ქიწნისი		შინდისი-ვარიანის მიმართულება
7	ქიწნისის მეურნეობა		
8	სათემო	1	ახალდაბა
9	მარანა	2	ვარიანის მეურნეობა
10	ტყვიავი	3	ვარიანი
11	ტირძნისი	4	შინდისი
12	დიცი	5	ნიქოზი
13	მერეთი		
14	კარბი		შავშვების მიმართულება
15	ფლავი		
17	მეჯვრისხევი		
18	ზერტი		
19	ახრისი		
20	ხელთუბანი	1	შავშვები
21	ბერბუკი	2	ბერშუეთი
22	სვენეთი		

"შემსყიდველი"

"მიმწოდებელი"